

საერთო გაზელო
ქართული
გაზელო

ვინ ზავა გალა სამგაზელოროში? საქართვალოს თასიც ცხრათვინანია

ვისთვის ნახევარფინალი, ვისთვის ფინალი: თბილისსა და ზესტაფონში დღეს ქართული საზომებით ორი დიდი მატჩია. გლდანში „ამერი“ ბოლნისური 0:0-ით გულმოცემული დაუხვდება „სიონს“, „ზესტაფონმა“ კი „ვიტ ჯორჯიასთან“ სამი კვირის წინანდელ ჭიდილში მცხეთიდან სულაც 2:1 გაიყოლა. ორივე მასპინძლისთვის ევროთასებისკენ სავალი გზა თასზე გადის და ისიც შესაძლოა, საამისოდ სულაც ფინალისტობამ იკმაროს. ორივე სტუმარს კი ევროპა „ჯიბეში უდევს“ და ახლა ტიტულისა და მედლის ხარისხისთვის უნევს ბრძოლა. პროგნოზი? ამ უმადურ საქმეს დღესაც ყველა თავს არიდებს, სასწორზე თითქმის ცხრა თვის ნალვანი დევს.



გაღარი კატილაშას ფოტო

თამაზია ასათი: ანჩელოტი ესპანელაბის ბილეთმა წააგო

ესპანურ-იტალიური თამაში გრძელდება. გასულ უქმეებზე მადრიდულმა „მარკამ“ პირველ გვერდზე კარლო ანჩელოტი გამოიჭიმა — „რეალის“ მწვრთნელი ეს კაცი იქნება, „მილანის“ თავკაცს კი თამაში მოებზრდა და გუმინ თქვა: „სასიამოვნოა, თუ „რეალის“ მწვრთნელად წარმომიდგინეს, მაგრამ წასვლას არსად ვაპირებ. დაიწყება ახალი სეზონი და თავად ნახავთ, რომ ისევე „მილანში“ ვიქნები“. რაც შეეხება ანჩელოტისა და შეჯიხვოს შორის შავი კატების სირბილს, ესეც მონაცონაო. ამბობდნენ, „ლივორნოსთან“ მატჩში შეცვლილი უკრაინელი მწვრთნელს ეჩხება და „ჩელსიში“ მიდისო, მაგრამ: „არავისთან მიჩხები. მხოლოდ საკუთარ თავზე ვავბრაზდი, რადგან ორი-სამი საგოლე მომენტი ვერ გამოვიყენე. ძალიან მძიმე სეზონი გვექონდა, ყველანი დაღლილები ვართ და ნერვების მოთოკვა გვიჭირს. ანჩელოტი? თამაშის შემდეგ ჩვენ არ გვისაუბრია. სალაპარაკო და გასარჩვევი არაფერი გვექონდა — უდიდეს პატივს ვცემ ანჩელოტის როგორც მწვრთნელს და როგორც კაცს.“ — განაცხადა მეგობრებ.



დავით
გულუა
ბერლინიდან

გურთი ბერლინის წაზე





მალდინის კალაქი უსაჩივრია და სწყინს

ბეპრს გაუკვირდა: საჩემპიონთა ლიგის მატჩებში „მილანის“ თავაკაც კარლო ანჩელოტის პაოლო მალდინი შეცვლებზე შეჰყავდა იმ დროს, როცა მის გუნდს უცილობლად გოლი ჰქონდა გასატანი. ისე, ეს ფაქტი ჩვენთვის არცაა აქტუალური, მთავარი ისაა, რომ კახა კალაქემ საბოლოოდ წაართვა ცო-

ცხალ ლეგენდას ძირითადის ადგილი... და აი, რას ამბობს მალდინი კალაქზე: „ფაქტია, 37 წლის ვარ, მაგრამ ფეხბურთის თამაში ძველებურად სიამოვნებას მანიჭებს. ძალიან მინდა, ჩემს საყვარელ პოზიციაზე, დაცვის ცენტრში ვითამაშო, მაგრამ იქ კახა კალაქია. იგი

მშვენიერ ფორმაშია და მის თამაშს რომ ვუყურებ, სინარული და სიმწრის ცრემლები ერთდროულად მდის: მიხარია, რომ კალაქისნაირი მკველი გვყავს და მწყინს, რომ მას ვეღარ ვჯობივარ“ — ასეთი რამ უთხრა პაოლო მალდინიმ იტალიელ ჟურნალისტს.

ილია ნაოგაფილი

დინამო კილიკიას კი უუთვალა



ანდრე ჩერნიშოვი

„დინამოს“ ხელმძღვანელობამ ინტერტოტოზე თამაშის სურვილი უკვე ოფიციალურად დაადასტურა და თუ თბილისელები ჩემპიონატში მესამე ადგილს აღარ ჩამოსცდებიან, ინტერტოტოზე თამაშის უფლებასაც მიიღებენ. დღესდღეობით „დინამოს“ მესამეობისთვის ორი რეალური კონკურენტი ჰყავს — „ზესტაფონი“, რომელიც თბილისელებთან ქულებით თანაბარია და „ბორჯომი“, რომელიც ამით ორი ქულით ჩამორჩება. როგორც ვიცით, „ზესტაფონს“ ინტერტოტო არ აინტერესებს და მთლიანად თასის მოგებისკენაა გადართული, რაც უფასო თასის საგზურს იძლევა. გამოდის, რომ ინტერტოტოზე „დინამოს“ მთავარი მოქიშპე „ბორჯომია“, მაგრამ დარჩენილი მატჩების კალენდარს თუ ჩაახედავთ, ვეჭვ-

ობთ, „დინამომ“ ეს ორქულიანი უპირატესობა შინ ფოთის „კოლხეთთან“ და „სოხუთან“ მატჩებში გაფლანგოს.

შეგახსენებთ, რომ „დინამომ“ ინტერტოტოზე პირველად 2000 წელს ითამაშა. მაშინ თბილისელები ბელგიური „სტანდარდის“ სარეზერვო შემადგენლობასთან პირველივე ეტაპზე დამარცხდნენ. ახლა კი „დინამოს“ მეტოქე სომხური გუნდი იქნება, საკარაულოდ, „კილიკია“ — სხვა სომხურმა გუნდებმა ინტერტოტოზე თამაშზე უარი თქვეს.

აქვე გეტყვით, რომ შარშან საქართველოდან ინტერტოტოზე „ვიტჯორჯიამ“ ითამაშა და ასევე პირველ ეტაპზე უნგრულ „ლომბარდ პაპასთან“ დამარცხდა.

კობა ინასარიძე

ქარიშხალი ქარიშხალაში იბერიამ ტოლი გერ იპოვა

სკორტკომპლექსმა „ქარიშხალამ“ გუშინ ფუტბალში საქართველოს ჩემპიონატის ფინალური სერიის პირველ შეხვედრას უმასპინძლა. „იბერია 2003“ — „ნიკორას“ დაპირისპირება იბერიელთა უპირობო უპირატესობით წარიმართა და მათივე გამარჯვებით დასრულდა — 9:0.

„იბერია 2003“ დღესდღეობით საქართველოს საუკეთესო კლუბია, რომელსაც სათავეში ბრაზილიელი მწვრთნელი უდგას და ოთხი ბრაზილიელი ლეგიონ-

ერთაც იწონებს თავს. ოკეანიზაციისგანმელებმა ამ მატჩშიც გამოიჩინეს თავი: ელიას ანდრემ და კლეობო ბასტოსმა ორ-ორით, ლუიზიო სანტოსმა კი ერთი გოლით დაიდეს წილი გამარჯვებაში. დარჩენილი ოთხი გოლი ვახტანგ წერეთლის (2), ნიკა ჩალაძისა და გიორგი თორთლაძის ანგარიშზეა.

მეორე შეხვედრა „ქარიშხალაში“ 4 მაისს 14 საათზე გაიმართება.

გიორგი ნოზაძე

იტალია
სერიას B. XXXVIII ტური
არეში 2:1 რიმიონი
სერიას C1/A. XXXIII ტური
ფარმანა 0:1 მონცა
ჯანოვა 1:3 რიტადალა
ჯულიანოვა 2:0 საფინადატა
პადოვა 0:0 სპეცია
პიციგატონა 2:0 პავია
პრო სესტო 3:1 ლუმეცანე
პრო პატრია 1:1 ტარამო
რავენა 1:0 ნოვარა
სან მარინო 1:1 სალერნიტანა

უკრაინა
პრემიერლიგა
ალსეპენსკა. VI ტური
ჰეპინი 0:2 კალმარი
სუპერესტა. III ტური
ასირისკა 0:1 ტრავუპორგი
ფალკანავარგი 2:3 ვასკი
იონკოპინგი 3:0 მვიდინგი
მილაზი 1:1 ბრომბოვიპარნა
უჰია 1:2 ლიუხვსკილი

ინგლისი
პრემიერლიგა
ბადალმბუული მატჩები
სანდერლანდი 0:3 არსენალი
მანჩესტერი 0:0 მიდლსმუთი
ვესტ ბრომვიჩი 0:1 ვესტ ჰემი
ჩეხეთი
პრემიერლიგა. XXXVIII ტური
სპარტა 1:0 ზლინი


საფრანგეთი
ლიგა 1. XXXVI ტური
ლორიანი 1:1 ამიენი

გერმანია
ბუნდესლიგა. XXXII ტური
აუა 0:1 გოტუმი

ფაქრასია დიადორას ტექნიკურად გაიწივებს

წინა დღეებში თბილისში „დიადორას“ წარმომადგენლები ჩამოფრინდნენ. სპორტული ეკიპირების მწარმოებელი ეს ფირმა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ტექნიკური საონსორობის ყველაზე რეალური კანდიდატია. იტალიელთა შემოთავაზება საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისთვის მისაღები აღმოჩნდა და შესათანხმებელი დეტალები დადარჩა. ამას გარდა, „დიადორას“ წარმომადგენელთა ვიზიტი საქართველოს სპორტული ნაწარმის ბაზრის შესწავლასაც ისახავს მიზნად და გარკვეულწილად ამაზეც იქნება დამოკიდებული კონტრაქტის საბოლოო ვარიანტი ჩამოყალიბებული პირობები.

ფედერაციის ხელმძღვანელთა და „დიადორას“ წარმომადგენელთა შორის მოლაპარაკების პროცესი დღეს ქართული ფეხბურთის სახელში გაგრძელდება. თუკი ყველაფ-



ერი დასახული გეგმის მიხედვით წარიმართა, მოსალოდნელია, რომ უკვე ხვალ კონტრაქტზე ხელმოწერის ცერემონიაც გაიმართოს. კონტრაქტზე ხელმოწერის შემთხვევაში, „დიადორა“ ყველანაირად ეცდება, საქართველოს ეროვნულ ნაკრებს ახალი ფორმები უკვე თვის ბოლოს, ავსტრია-გერმანიაში გასამართი მატჩებისთვის მიაწოდოს.

გიორგი ნოზაძე

დავით ყიფიანის თასი ფინალში

მიხეილ მესხი

გენერალური სპონსორი

ქაქავაძე

სპონსორები

საქართველოს ბანკი BANK OF GEORGIA

ოფიციალური სპონსორი

აიფი

საპარტნიორო

აიფი

დასასრულის 20:00 საათზე
ზილეთის ფასი 2,3 ლარი

ს.კ. ლოკომოტივი

ახორციელა ს.კ. ბარსელონას

ტალანტების მოძიების პროგრამას და ატარებს სელექციას 1991-1998 წლებში დაბადებულ ბავშვებში. რეგისტრაციისათვის გთხოვთ მოხრძანდეთ 1 მაისიდან 20 მაისამდე (11-15 საათამდე) მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე, ჭავჭავაძის გამზირი №74.

თან იქონიეთ ბავშვის დაბადების მოწმობა, ფოტოსურათი და მშობლების პირადობის დამადასტურებელი მოწმობა.

საკონტაქტო ტელეფონი: 23-04-58

2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. B ჯგუფი
რვაენი მატჩი



თავსობორა მეს ვიქნები ბლოხინი მოსკოვშიც სურთ

„თუ უკრაინა მსოფლიოს ჩემპიონი გახდება, თმებს გადავიხორტავ“ — თქვა ამასწინათ უკრაინელთა მთავარმა მწვრთნელმა ოლევ ბლოხინმა.
თუ უკრაინა მსოფლიოს ჩემპიონი გახდება, თმებს მეც გადავიხორტავ, ისედაც მოკლე ვარცხნილობა მაქვს — განაცხადა ახლახან უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა გრიგორი სურკისმა.
პრეზიდენტის და მწვრთნელის ასეთი სოლიდარობა ერთია, მაგრამ რა იქნება მაშინ, თუ მუნდიალზე ბლოხინის უკრაინა ჯგუფიდან ვერ გავა?
„მსოფლიოს ჩემპიონატის მერე დარჩება თუ არა ბლოხინი პოსტზე,

ეს საკითხი არც განიხილება. რა თქმა უნდა, ბლოხინი მუნდიალის დამთავრების შემდეგაც გააგრძელებს ნაკრების გაწვრთნას“ — უთხრა სურკისმა უკრაინულ მედიას.
თუმც ისიცაა, რომ ყველაფერს უკრაინის ფეხბურთის ფედერაცია და მისი პრეზიდენტი ვერ გადაწყვეტენ — ბლოხინს მოსკოვის „დინამო“ ეპატიჟება და ალბათ უფრო მეტ ხელფასსაც სთავაზობს, ვიდრე მას უკრაინის ფეხბურთის ფედერაცია უზღის — მოსკოვური „დინამოს“ მფლობელი რუსი მილიარდერი ალექსი ფედორჩევი. ბლოხინის გადაბირებაზე მოსკოვის „სპარტაკიც“ აქტიურად მუშაობს.
ნიკა ჯორჯაძე

აზერბაიჯანის ჩემპიონობისთვის უზიდი ქართველი იბრაჰიმის ვის ამუქრება 3+2?

აზერბაიჯანის ფეხბურთის ფედერაცია ლეგიონერების შემცირებას ეშურება და რამდენიმე დღის წინ გადაწყვეტილება მიიღო — ლეგიონერთა ლიმიტი აზერბაიჯანულ კლუბებში შეიცვლება.
მომავალი სეზონიდან აზერბაიჯანულ კლუბებს ხუთი ლეგიონერის ყოლის უფლება ექნებათ, მაგრამ მოედანზე, ახალი წესის თანახმად, მხოლოდ სამის გაყვანა შეეძლება. თუ გუნდს ხუთი ლეგიონერი ჰყავს, უფლება ექნება, ხუთივე შეიყვანოს სამატჩო განაცხადში და ლეგიონერი ლეგიონერით შეცვალოს, ანუ ხუთივე ლეგიონერი გამოიყენოს, მაგრამ მოედანზე ერთდროულად მხოლოდ სამის გამოყვანის უფლება ექნება. ამ ახალ წესს აზერბაიჯანში 3+2 დაარქვეს, 2007/08 წლების სეზონში კი ლიმიტით შემცირდება და 3+1 გახდება.
აზერბაიჯანში ბევრი ისეთი ლეგიონერიცაა, იქაური პასპორტი რომ აიღო და ორმაგი მოქალაქეობა აქვს. 3+2 წესი ასეთ ლეგიონერებზეც გავრცელდება, მაგრამ თუ ლეგიონერს, სულ მცირე, ორი წელი აქვს აზერბაიჯანული პასპორტი, მაშინ მას ლეგიონერის სტატუსი მოეხსნება.
აზერბაიჯანში ახლა 9 ქართველი თამაშობს. გონა ტრაპაიძის, ალექ-



თენგიზ სიჭინავა და გიორგი ადამია

სანდრე ინწკირველის და რომან ახალკაცის „ქარვანი“ პირველ ადგილზეა, გიორგი ადამის და ვალერი აბრამიძის „ნეფთჩი“ მეორეზე — „ქარვანს“ და „ნეფთჩის“ 52-52 ქულა აქვთ და სამი ქულით უსწრებენ მესამეადგილოსან „ბაკის“, სადაც ალექო გოგობერიშვილი და ალექო რეხვიაშვილი თამაშობენ — მოკლედ, ჩემპიონობისთვის 7 ქართველი იბრძვის.
თოთხმეტეგუნდა აზერბაიჯანის ჩემპიონატის ჩამთავრებას სამი ტური უკლია. 7 მაისს „ნეფთჩი“ „ბაკის“ ეთამაშება, ხოლო 14-ში — ყველაზე მდიდარ აზერბაიჯანულ

გუნდ „ლენქორანს“. ანუ, ჩემპიონობისთვის მეტბოლი გუნდებიდან ყველაზე ძნელი კალენდარი „ნეფთჩის“ აქვს.
ირაკლი ვაშაკიძის „თურანი“ მე-5 ადგილზეა, ხოლო თენგიზ სიჭინავას „არაზი“ — მერვეზე ცხრავე ქართველი ლეგიონერი გუნდის ძირითადშია დამკვიდრებული და 3+2 წესი მათზე ალბათ არ იმოქმედებს. ერთი პერიოდი რეხვიაშვილს გაუჭირდა „ბაკის“ ძირითადში ფეხის მოკიდება, მაგრამ ის ახლა უკვე გუნდის ერთ-ერთი საკვანძო ფეხბურთელია.
ნიკა ჯორჯაძე

სიასლა ჯეოსელისგან ჭამ-შიქსი!

wap.geocell.com.ge

GEO *123#

ჭამ MIX შიქსი

აკხიფატი

1 2 3 * 9 # YES

და
მოხენებ ალურად
და ადგინეთი

მიმღიონ ბრე
ს ე უ ე ხ ბ უ რ ი ი
მეზჩეხონს ენბეროშეხეი

SCORE LIVE



დავით ყიფიანის თასი

ნახევარფინალი. საპასუხო მატჩი



თბილისი. 2 მაისი. 16 საათი. პერი

პერი — სიონი (0:0)

მაჟრა: ლ. კვარაცხელია; მ. ელიკაშვილი, მ. ურუშაძე; ა. ნონიკაშვილი; დამკვირვებელი: ა. დურსუნში

ქვირთასი თაგაში როგორ გადაანაწილებს კალებს სიონი?

ჩემპიონობისთვის მებრძოლი „სიონი“ თასის ნახევარფინალის საპასუხო მატჩში თბილისის „ამერს“ ხვდება. ოთხ დღეში კი „სიონი“ ბოლოსწინა ტურში მასპინძლობს იმავე „ამერს“ და...

ვითომ, დაზოგავს ძალას დღეს „სიონი“? თუ გუნდი ფინალში გავა, ფეხბურთელები 1000-1000 ლარიან პრემიებს მიიღებენ. მოკლედ, ურიგო სათასო პრემიებს როდი შეპირებიან სიონელებს, მაგრამ გუნდის 12 ფეხბურთელი დისკვალიფიკაციის ზღვარზეა — თუ რომელიმე მათგანი დღეს გაფრთხილებას მიიღებს, 6 მაისს „ამერთან“ საჩემპიონატო მატჩს გამოტოვებს. დისკვალიფიკაციის ზღვარზე მყოფი სიონელები არიან: კოკა მიკუნაძე, დავით სვანიძე, მიხეილ კობახიძე, ლევან ხმაღალიძე, მინდია ბობლიანიშვილი, ზურაბ ბათიაშვილი, ბეგლარ თედორაძე, გიორგი ქუცურუა, გიორგი ოქროპირიძე, ლევან ბაჯელიძე, ვლადიმერ უგრეხელიძე და ალექსანდრე გურბიენკო.

ასეა თუ ისე, „სიონი“ დღეს თასის ფინალში გასასვლელად შეებრძოლება „ამერს“ და ბოლნისიდან გულშემატკივრებსაც იახლებს გლდანში. „სიონში“ კვითხრეს, რომ უსაფრთხოების თაობაზე უკვე ესა-

უბრუნენ „ამერს“ ხელმძღვანელობას და გლდანში გულშემატკივრების მხრიდან ექსცესები, წესით, არ უნდა მოხდეს.

„სიონი“ საამაღმად ბოლნისში ემზადებოდა და გუნდი თამაშზე იქიდან წამოვა — ასე გადაწყვიტა „სიონის“ მწვრთნელმა კახა ცხადაძემ.

და რა ხდება „ამერის“ ბანაკში? ტრავმის გამო დღეს ვერ ითამაშებს ამერელთა ორი ნახევარმცველი — ალექო კოშკაძე და გიორგი სილაგავა.

გუნდის თავკაც გიორგი ჩხრაძეს კი მატჩამდელი კომენტარი ვთხოვეთ...

— ჩემპიონატის ბოლო მატჩებში თქვენი გუნდი უფერულად გამოიყურებოდა — როგორ ტონუსშია „ამერი“ ამ სათასო მატჩისთვის?

— ჯერ იყო და, „ამერის“ ფეხბურთელებს ვირუსული გრიპი შეეყარათ, რამდენიმე მოსაგები თამაში ვერ მოვიგეთ, გოლები ბოლო წუთებზე გავუშვით — ამის გამო დაეკარგეთ საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლის რეალური შანსი. ამის შემდეგ აქცენტი თასზე გადავიტანეთ და ბოლო მატჩებში რამდენიმე ფეხბურთელი დაეკარგეთ,

ახალგაზრდა მოთამაშეებს სათამაშო პრაქტიკა მიეცით და ეს ყველაფერი იმიტომ გავაკეთეთ, რომ ამ სათასო მატჩისთვის ოპტიმალურად მოემზადებულიყავით.

— ამბობენ, შესაძლოა, „სიონმა“ „ამერთან“ უძლიერესი შემადგენლობით არ ითამაშოსო — ასეთი ხმები უარყოფითად ზომ არ იმოქმედებს თქვენს ფეხბურთელებზე?

— ამ მატჩისთვის კარგა ხანია, ვემზადებოდით და ჩვენი ფეხბურთელების განწყობას ვერაფერი შეცვლის. „სიონს“ საკადრო პრობლემები არ აწუხებს და თუ განსხვავებული შემადგენლობით ითამაშებს, მისი არც ერთი ფეხბურთელი არ იქნება მოშვებული. მაქსიმალურად მობილიზებული ვართ, ჩვენი მიზანი მხოლოდ ფინალში გასვლა კი არა, თასის მოგებაა.

— შესაძლოა, ფინალისტი პენალტების სერიამ გამოავლინოს — 11-მეტრიანების შესრულებაში საგანგებოდ ავარჯიშეთ ფეხბურთელები?

— რა თქმა უნდა. პენალტების შესრულებაზე მხოლოდ ახლა კი არა, პერიოდულად ვმუშაობთ.

დავით თაგართილაძე



პაპიაშვილი კაპიტანობს ფოტო

ზესტაფონს ადრეც უნახავს და გულში მწარედ ჩარჩენია წაღმა წასულის უკუღმა შებრუნება: არაა საამო გასასვენებელი, მალტურ „სლიემსთან“ იმერლებმა სტუმრად 3:1 რომ მოიგეს, შინ 0:3 წააგეს და შავი ლაქით დატოვეს ევროსარბიელი. ეს 10 წლის წინ იყო და მას შემდეგ „ზესტაფონი“ ევროტურნირებზე არც გასულა, მაგრამ ახლა შანსი აქვს და თან რეალურიც...

კობა ჟორჯიაშვილის გუნდმა სათასო ნახევარფინალის პირველი მატჩი „ვიტ ჯორჯიას“ მცხეთაში 2:1 მოუგო და ძალიან გვეჭკვება, ვიტყვით მალტური „სლიემს“ გაიმეორონ. კი, ყველაფერი ხდება, მაგრამ დაახლოებით თანაბარი დონის გუნდების ჯახში და თანაც ზესტაფონის გადაჭედვით ტრიბუნებზე?!

ვეტერინარები ბოლო მატჩებში იავარდიან გზაზე ვერ დაქრიან, შაბათსაც ძლიერ მოუგეს სუსტ „ლოკომოტივს“ და ძველებური ნიათნაპერწყალი აღარ ეტყობათ. რას იზამ, გადატვირთულმა კალენდარმა მოქანცვა იცის...

„ზესტაფონს“ კი ჰყავს ზურაბ იონანიძე, რომლისთვისაც წლები და სიბერე არ არსებობს — „იონას“ გააქვს და გააქვს, უკვე 202 საუმაღლესიგო გოლი მოუვროვდა და დღესაც რომ იმტახე

SOS! მეორე ტაიმი წინაა

ზესტაფონი. 2 მაისი. 16 საათი. ცენტრალური

ზესტაფონი — ვიტ ჯორჯია (2:1)

მაჟრა: ლ. ფანიაშვილი; ლ. მიქელაძე, ზ. მენთეშაშვილი; გ. ვადაჭკორია; დამკვირვებელი: ს. კვარაცხელია



მურამ დოღვაშვილი ფოტო

იქნება, რა გასაკვირია... იონანიძე თავდასხმის ლიდერია, „ზესტაფონის“ ნახევარდაცვის საკანძო ფეხბურთელი კი გიორგი განუგრაგა, რომელიც ფრთხილად უდგება სადღისო მატჩს, ჯერ მხოლოდ ნახევარი საქმე გვაქვს გაკეთებულიო...

— „ვიტ ჯორჯია“ ძლიერი მეტოქეა, მაგრამ ახლა „ზესტაფონი“ ისეთ ფორმაშია, რომ შანსი ხელიდან არ უნდა გავუშვათ. ჩვენ ისევე უნდა ვითამაშოთ ფინალში. ჩვეულებრივ ვემზადებით, არაფერი განსაკუთრებული.

...ბექა გოცირიძემ „კოლხეთთან“

ხელი მოიტეხა და „ვიტ ჯორჯიასთან“ არ გვეყოლება, დანარჩენები კი მწყობრში ვართ.

— „ვიტ ჯორჯიას“ ლიდერი და თამაშის წამყვანი დავით დიდმელაშვილია. კარგად ვიცო და ვით იმედოვნებოდა და ნიკა გელაშვილის ძალაც, მათთან ერთად ზომ ახალგა-

ზრდულ ნაკრებში ვითამაშე მალტასთან.

ვეტერინართა მწვრთნელი ნესტორ მუშლაძე უნასიათობას არ უჩივის, ჩვენ ყველა თამაშში მოსაგებად გავდივართ მინდორზე და...

— ჩემპიონატში მეორე ადგილი განადგობული გვაქვს, პირველობის ბედი კი „სიონის“ ხელშია და ენახოთ, ბედი თუ გავვიღებებს... რა თქმა უნდა, ზესტაფონში ძელი იქნება სასურველი ანგარიშით მოგება, სულ მცირე, ორი გოლი გვაქვს გასატანი, ოღონდ ჯერ იმას ვერ გეტყვით, თავიდანვე შტურმზე გადავლით თუ არა ამას თამაში დაგვანახვებს.

— „ზესტაფონიდან“ იონანიძეს, ფიფიას და განუგრაგას გამოვარჩევი. საერთოდაც, ყველა რგოლში კარგად დაბალანსებული გუნდია.

— ტრავმირებული იმედოვნებელი და გვაკლდება, თუმცა მას მხოლოდ ეს მატჩი გაუცდება და 6 მაისს „დილასთან“ ითამაშებს. არ გვეყოლებიან რაზმადე, კობიაშვილი და ბელიაშვილიც.

— კარგია, რომ ხასხასა მინდორზე ვითამაშებთ. სულაც არ ვოვლი, რომ ჩვენ ასეთ გაზონთან შეჩვევა გვჭირდება — კი, „ზესტაფონის“ საშინაო არენაა, მაგრამ „ვიტ ჯორჯია“ ტექნიკური გუნდია და ასეთ მინდორზე უფრო გამოუვა თამაში.

ილია ნანობაშვილი



საქართველოს XVII ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა 28 ტური აქტუალური

დანარჩენს მოკვლევა დაადგენს მსაჯობა და ზღვისპირული ვნებები

მსაჯობასთან დაკავშირებული ხმაური საქართველოს ჩემპიონატში სხვა დროს როდის ყოფილა უცხო, ახლა რომ გავუკვირებინებთ? ქომაგთა გულიწყრომა, რომელიც ნამატჩევს მსაჯების მიმართ აგრესიაში გადაიზარდა, ფოტოში „კოლხეთი“ — „ზესტაფონის“ მატჩის 87-ე წუთზე მომხდარმა ეპიზოდმა გამოიწვია. წუთით ადრე ზესტაფონელმა ზურაბ იონანიძემ მეორე გოლი გაიტანა კოლხთა კარში და თავისიანები დააწინაურა, მერე კი... სტუმართა საჯარიმოში ედიშერ მარგალიტაძე დაეცა და ფოტოები პენალტს ითხოვდნენ, არბიტრმა დაეით ხარიტონაშვილმა

კი თამაშის გაგრძელება ბრძანა. ნამატჩევს მსაჯები პატრულმა გაარიდა გულშემატკივრებს. პატრულს, რა თქმა უნდა, მაღლობა ეკუთვნის, დანარჩენს კი იმედია, ფეხბურთის ფედერაციაში ჩატარებული მოკვლევა დაადგენს...

მსაჯობით უკმაყოფილო დარჩა მასპინძელი „ბათუმიც“, რომელიც თბილისის „დინამოსთან“ 1:2 დამარცხდა. თუმცა პრესკონფერენციაზე ოთარ გაბელიამ ისიც აღნიშნა, დღეს მეტოქემ გვაჯობაო. ყველაზე ცუდი ამ ისტორიაში ის იყო, რომ ბათუმელი ბიჭბუჭები „დინამოს“ ავტობუსს ქვებით გაუმასპინძლდნენ...



ამირან მამალაძე ბათუმელთან

სიონი 4:0 საარბანი
დილა 4:2 ცხინვალი
აოლხეთი 1:2 ზუსტაფონი
ამერი 0:0 ახეთი
ლოკომოტივი 1:2 ვიტ ჯორჯია
ბორჯომი 0:2 ბორჯომი
ბათუმი 1:2 დინამო
სოხუმი 0:2 თბილისი

სიონი	28	21	4	3	50:17	67
ვიტ ჯორჯია	28	20	4	4	51:16	64
დინამო	28	18	4	6	50:21	58
ზესტაფონი	28	17	7	4	40:20	58
ბორჯომი	28	18	2	8	48:24	56
ბათუმი	28	16	6	6	39:19	54
ამერი	28	15	4	9	32:21	49
ლოკომოტივი	28	10	4	14	38:45	34
ახეთი	28	9	4	15	31:43	31
კოლხეთი	28	8	5	15	23:31	29
დილა	28	8	4	16	33:43	28
ცხინვალი	28	8	3	17	29:56	27
ტორპედო	28	7	6	15	26:37	27
თბილისი	28	7	2	19	23:43	23
სოხუმი	28	5	3	20	24:60	18

უფორთი სახანძრომ ჩააქრო

არის საქართველოში ქალაქები, სადაც ამა თუ იმ გუნდის სტუმრობა გარკვეულ რისკ-ფაქტორს შეიცავს. ამ ქალაქების ჩამონათვალში არასოდეს მოხვედრილა ბათუმი, სადაც ტრადიციულად მაღალია ქომაგობის კულტურა. მით უფრო გასაკვირი იყო შაბათს მომხდარი ინციდენტი, რომელიც ალბათ ფედერაციის შესაბამისი სამსახურების განხილვის საგანი გახდება.

პოზიცია მოგაწოდოთ: „თბილისის „დინამოს“ ხელმძღვანელობა გაოცებული და აღშფოთებული ასეთი ექსცესებით. მატჩის მსვლელობისას ტრიბუნიდან უცხო საგნებს ისროდნენ — ვიტალი დარასელიას მხარში მოარტყეს, ვიორჯი ნავალოვსკის კი წარბი აქვს გახეთქილი. მატჩის შემდეგ ქომაგთა დიდმა ჯგუფმა გასახდელეთან არეულობა მოაწყო და ინციდენტი პოლიციისა და სახანძროს თანამშრომელთა მშვეობით მოგვარდა. ტრიბუნიდან კი ჩვენი გუნდის გასახდელისკენ სკამების სროლა გრძელ-

დებოდა. ნამატჩევს ერთ-ერთ ქუნაზე ვაი-ქომაგთა არცთუ მცირერიცხოვანი ჯგუფი ქვების სასროლად იყო მომზადებული და პოლიციამ დაშალა. ეს ყველაფერი მით უფრო გასაკვირია, რომ ბათუმი ყოველთვის ცნობილი იყო სტუმართა პატივისცემით და არც ჩვენს მიმართ გამოუხატავთ როდესმე აგრესია. მომხდარი ასახულია მატჩის დელეგატის პატაკში და თბილისის „დინამოს“ ხელმძღვანელობას იმედი აქვს, რომ მომხდარს სათანადო სამსახურებში ადეკვატური რეაქცია მოჰყვება.“



გელაშვილი ხალხს დუბლებით ეცნობა

„ვიტ ჯორჯიას“ აღარ ჰყავს ოთარ მარცვალაძე და მეორე წრეში გოლების სიმწირე დაეცო კიდევ. ნიკა გელაშვილს მარცვალაძეს ვერ შეეადარებთ, რადგან ჯერ ერთი, განსხვავებული მანერის თავდამსხმელები არიან და მეორეც, გელაშვილი ჯერ დასაღვინებელია, თუმცა...
სექტემბერში თელავის „კახეთიდან“ გავეტერინარებულმა ნიკამ პირველად მაშინ მიიქცია ყურადღება, როცა „ამერს“ გაუტანა ტყუპი გოლი, წინა ტურში კი „ლოკომოტივთან“ უსაჭიროეს მატჩშიც იგივე

გააკეთა და გმირის მანტია მოისხა — „ვიტ ჯორჯიას“ საჩემპიონო მანსი დაუტოვა.
გელაშვილს ამ სეზონში 7 გოლი აქვს გატანილი და ეს არც ისე ბევრია, მაგრამ იგი ნაღდად პერსპექტიული ფორვარდია, სხვანაირად რაღა მინევა ახალგაზრდული ნაკრების ძირითადს რატომ ანდობდა?! ნიკას უმთავრესი პლუსი კარგად გახსნა, ის ტიპური ცენტრფორვარდია და თამაშის სტილით მილანელ ფილიპო ინძაგის ადარებენ — ბევრ მომენტს აფუჭებს, მაგრამ ბევრად პროდუქტიულიცაა...

კაჭუნია კაჭო

„სიონისგან“ „სპარტაკის“ ძლევამ მთავარი კაცი ბოლნისელთა მარჯვენაფლანგელი ვლადიმერ უგრეხელიძე იყო, თუმცა ბოლნისელები მას სახელით ან გვარით არასდროს მოიხსენიებენ. „კაჭუნია“ ან „კაჭო“ — ასე ეძახიან ბოლნისელები 22 წლის უგრეხელიძეს.



მზარამ დოღლაშვილის ფოტო

„სიონში“ ბოლნისელი ფეხბურთელები ბევრნი არასდროს ყოფილან, ამ გუნდის ბირთვის მეტწილად საქართველოს სხვა რეგიონებიდან მიწვეული ფეხბურთელები წარმოადგენდნენ და ბოლნისელ ქომაც ერთიორად უზარია, როცა „სიონში“ წარმატებით ათამაშდება მათი რომელიმე თანაქალაქელი.
ამ დროისთვის „სიონში“ ოთხი ბოლნისელია, „კაჭუნია“ კი ქომაცს განსაკუთრებულად უყვარს და „სპარტაკთან“ მატჩში მათი ჯილა ერთხელაც გამოირჩა ფლანგური გარღვევებით — თითქმის ყველა სახიფათო თუ საგოლე მომენტი სწორედ უგრეხელიძის აქტიურობას მოჰყვა.



ბიქსენტ ლიზარაზუ ტელევიზორული იტაპაშუს

„ბაიერნი“ მცველი, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი ბიქსენტ ლიზარაზუ სეზონის დამთავრების შემდეგ კარიერას დაასრულებს. 36 წლის ფეხბურთელი, რომელიც ბოლო ორი წელია, ტრავმებმა გატანჯა, „კანალ პლუსზე“ კონსულტანტად მუშაობას აპირებს. ლიზარაზუს 97-ჯერ მოუგია ნაკრების მაისურა. „ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში ვფიქრობდი ფეხბურთიდან წასვლაზე და გადავწყვიტე, რომ სწორედ აქ, „ბაიერნი“, დამესრულებინა კარიერა. ამ კლუბმა ხომ დიდ ფეხბურთელად მაქცია“.

ლიზარაზუ „ბაიერნი“ 1997 წელს „ბორდოდან“ მივიდა, 2005-ში ერთი სეზონით „მარსელს“ ათხოვეს, მაგრამ ისევ მიუნხენში დაბრუნდა. „ბაიერნი“ ხუთჯერ გახდა ჩემპიონი და 2001 წელს ჩემპიონთა თასი მოიგო. „ჯილდოები არ მაკლია და ჩემი მონაგარი კმაყოფილი ვარ. მივიღე ყველაფერი, რაც მსურდა და თავაწეული მივედი ფეხბურთიდან“ — განაცხადა ფრანგმა. შეგახსენებთ, რომ ლიზარაზუმ სანაკრებო კარიერა ევრო 2004-ის შემდეგ დაასრულა.


პატივი: რატომ არ სწავნენ ადამიანები ერთმანეთს?

„ჩელსის“ აღმასრულებელმა დირექტორმა პიტერ კინონმა განაცხადა, რომ ამ ზაფხულს ინგლისის ჩემპიონს სამი ფეხბურთელი დატოვებს და სამი დაემატება. ამასთან, ზუსტად შეიძლება ითქვას, რომ გამწვებულთა შორის არ იქნებიან შონ რაიტ-ფილიპსი და დიდი დროება.

ინტერვიუ რომლის მთავარი თემა გახლდათ „სამი მოვა, სამი წავა“ კინონმა BBC-ს მისცა. კერძოდ, აღმასრულებელმა შეფუძნა თქვა:

„სამი ახალი ფეხბურთელიდან ერთი მიხაელ ბალაკი იქნება. იმედი მაქვს, მსოფლიოს ჩემპიონატამდე მასთან დაკავშირებული ყველა ფორმალობა მოგვარდება. საერთოდ კი შემადგენლობას გადახალისება ჩვენთვის ჩვეული რამ არის. ამჟამად „ჩელსიში“ 24 მოთამაშეა, ეს რაოდენობა კი შემადგენლობის როტაციისთვის იდეალურია. ამასთან, ეს რიცხვი თავად გუნდში უზრუნველყოფს ფეხბურთელებს შორის კონკურენციას. მწამს, ახალი ხალხი გაგვაძლიერებს. „ჩელსიში“ ყველას სურვილია გაიმარჯვოს, როგორც ინგლისში, ასევე ევროპულ ასპარეზზე“.

შემდეგ კინონი შეეხო ჟოზე მარინიუსს ნათქვამს, შუა სეზონში „ჩელსიდან“ წასვლას ვაპირებდი.



შონ რაიტ-ფილიპსი



დიდი დროება

„ხანდახან ჟოზე ვერ იცებს, რატომ არ სცემენ ადამიანები ერთმანეთს პატივს გაწეული შრომის გამო. სხვათა შორის, მინდა ვითხრათ, რომ მე მის შეხედულებას სრულიად ვიზიარებ. პრემიერლიგაში ზედიზედ ოჯერ ჩემპიონობა

სერიოზული შედეგია. ეს, ჩვენამდე მხოლოდ ერთმა გუნდმა, „მანჩესტერ იუნაიტედმა“ შეძლო და ჩვენ, შაბათს, საჩემპიონო მატჩში სწორედ ის დავამარცხეთ“ — დასძინა კინონმა.

აკაუნა კვიციანი



ფელიქს მაგათი

ბეკენბაუერი ბალაკი დაკარგა

ფინალში იმარჯვეს და ამას ჩემპიონობასაც თუ მოუმატებენ დუბლი გამოუვიათ, ისევე როგორც მარშან. ბუნდესლიგის ისტორიაში კი ზედიზედ ორჯერ დუბლი არავის შეუსრულებია.

„ზედიზედ ორჯერ დუბლის შესრულება თავისებური რეკორდი და ერთგვარი კომპლენსაცია იქნება ჩემპიონთა ლიგაში უხეიროდ გამოსვლის შემდეგ“ — თქვა მიხაელ ბალაკმა, რომელიც დისკვალიფიკაციის გამო ხვალვე ითამაშებს. „ბაიერნი“ დირექტორმა კარლ-ჰაინც რუშინიემ თქვა, რომ ბალაკს „ჩელსისთან“ კონტრაქტი უკვე გაფორმებული აქვს, ხოლო კლუბის პრეზიდენტმა ფრანც ბეკენბაუერმა ფეხბურთელი გააკრიტიკა: „ბოლოხანს უგულოდ თამაშობს, თითქოს „ჩელსისთვის“ ძალას ზოგავს. ხანდახან მგონია, რომ ის ჩვენი კი არა უკვე სხვა კლუბის ფეხბურთელია. „აინტრაზტთან“ თასის ფინალში რომ არ გამოცვალებს, გამიკვირდა“.

ბალაკმა კი ასე უპასუხა: „მთავარი ის არაა, თუ რას ფიქრობს ბეკენბაუერი. მთავარია, რომ თასი მოვიგეთ მესამედ ბოლო ოთხ სეზონში“.

ჩემპიონობის მოლოდინში ოლივერ კანი თანაგუნდელებს მოთმინებას უჩვენებს: „ჩვენ ხუთი ქულით ვუსწრებთ „ჰამბურგს“. აჩქარება და მინცდამინც ტიტულის ხვალვე მოგება აუცილებელი არაა. მთავარია მოვივით და ამ ტურში იქნება თუ მომდევნოში, მნიშვნელობა არა აქვს“.

ჰამბურგელებს ურთულესი მატჩი ელით კიოლნიში. „თხებს“ დარჩენილ სამ ტურში ქულების მაქსიმალური რაოდენობა სჭირდებათ, რომ ბუნდესლიგიდან არ გავარდნენ.

„ჰამბურგთან“ აუცილებლად უნდა მოვივით. ისინი სტუმრად ძალიან კარგად თამაშობენ, მაგრამ ბოლო ორ საშინაო შეხვედრაში ჩვენ მეტოქეები დავამარცხეთ და

Table with 2 columns: Team Name and Points/Goals. Includes teams like Bayern, Dortmund, Schalke 04, etc.

ახლაც გამარჯვების გეგმელება“ — განაცხადა კიოლნიელთა მწვრთნელმა ჰანს-ჰეტერ ლატურმა. „თხები“ კი მართლაც რომ მოყოჩაღდნენ სეზონის ბოლოს. სტუმრად „ბაიერნიდან“ და „შალკესთან“ თითო-თითო ქულა აიღეს, ხოლო შინ „ვოლფსბურგი“ და „დუისბურგი“ დაამარცხეს.

ველზენკირხენის „შალკე“ უუფასოთაის ნახევარფინალიდან გამოვარდა და ისე ჩანს, რომ მომავალ სეზონშიც ამავე ტურნირში ითამაშებს. „ხუმარებს“ ბუნდესლიგის ბოლო ექვს ტურში ერთიც არ მოუგიათ და მეოთხე ადგილზე გაიყინნენ. მირკო სლომკას შევირდები დღეს ალბათ მოუგებენ „არმინიას“, რომელმაც ელიტაში ადგილი შეინარჩუნა და სახერგიულო აღარ აქვს.

Large table with 18 columns and 18 rows, likely a league table or statistics table.

შარშანდელის კი მასსოვს... სტუ ტიტულის დაცვას სწავლობს



ავიატორი ვახტანგ მინაშვილი ტექნიკოს რიჩარდ მათიაშვილის აესვეტა

1 მაისი. ვერის ბაღი
სტუ 97:87 ავიაშენი
28:23 26:23 21:14 22:27
სტუ: მიქაძე (12), ხეცურია (20), კვი-
დია (15), შანიძე (9), მათიაშვილი (12);
ლოსაბერიძე 10, ახალკაცი (8), მურ-
ჯიყენელი (7), კვიციანი (4), ნინუა
ავიაშენი: ტულუში (15), ხოშტარია (7),
მარკოიშვილი (17), მინაშვილი (13), რო-
დუშა (9); ორმოცაძე (11), დ. ბერიშ-
ვილი (7), ბ. ბერიშვილი (8), ნონელია
მსაჯვენი: დავით ბერეგაშვილი, ზაზა მა-
ჩალაძე, მავა კუბაძაძე
კომენტარი: როლანდ ხომერიკი

ირაკლი პერტაია

ესეც მრავალთაგან აუტსაიდერად შერაცხული სტუ — ტექნიკოსებმა წინა მატჩში გამარჯვება არ იკმარეს და ნახევარფინალური სერიის მესამე შეხვედრაში რეგულარული ჩემპიონატის მომგები „ავიაშენი“ ისევ ბეჭეებზე დადეს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ნუგზარ ჭეიშვილის გუნდი სერიაში 2:1 დაწინაურდა და ორიდან ერთ თამაშსაც თუ მოიგებს, ფინალშია.

რეკვით-მეთქი. მოგესხებათ, ხო-
შტარია „ავიაშენის“ ლიდერია და
მან გუშინ 7 ქულის შეკოწიწება
მოახერხა. ანუ ჭეიშვილი პირნ-
თელი გამოვიდა საკუთარ შეგირ-
დებთან და მოთამაშებმაც დაე-
ლება შესარულეს. სტუ-მ ავიატო-
რთა ლიდერს გასაქანი არ მისცა,
სანაცვლოდ კი ის მიიღო, რომ ცა-
ლი ფეხი ფინალში შედგა.

„ავიაშენის“ ურთიერთსულ, 2:0
იგებდა ამ მატჩში. პირველივე წუ-
თზე ანგარიში ირაკლი ხოშტარიამ
გახსნა, მაგრამ მერე სტუ-მ დაცვა
მოაწესებდა და კონტრშეტევებით
9:0 გაილადა. ეს იყო და, „ავიაშენ-
ის“ გაუთავებელი დევნაც დაიწყო.
ვერც მძლეობის მარიფათით, ვერც
ძალდებით, ვერც შორი სროლებით
ავიატორებმა შეუბა ვერ იგრძნეს.
წოწოლა კამერუნელ პლასიდე რო-
დუშასა და მის ფარქვეშა მეწყე-
ვილეს სტუდენტები ერთიანი ძალებით
ანეიტრალებდნენ, ხოლო ტან-
მორჩილი ავიატორებისგან, როგორც
უკვე ვთქვით, ნაკლები საფორთხე
მოდიოდა, რაკი ტექნიკოსთა და-
ცვა იდგა მოწოდების სიძალდებზე.

ევროლიგა
ოთხთა ფინალი. პრაღა. 30 აპრილი. ფინალი

სსკა 33 წლის შედეგ
მესინამ ევროტასში ალექსანდრ გომელსკი დაინახა

სსკა 73:69 მადრიდი
18:18 17:12 14:18 24:21
(სსკა: პოლდენი (6), სმოდიში (12), ვან-
ტერპული (16), ლანგდონი (11), სავრა-
სენკო (10); პაპალუკასი (18), ვან დერ
შვიგელი, პანოვი
მადრიდი: პარკერი (10), სოლომონი (20), ბუ-
რმტეინი (9), უილიზი (4), ბასტონი (6); არ-
ნოლდი (14), შარფი (3), პენი (3), შანონი

— „მაკაბი“ ვერ გაიმორა რივის
ასკასა და ხორვატიული „სპლიტის“
შედეგი, რაშიც მას ხელი უცხოელებით
გაძეებლმა ცსკამ შეუშალა.

არმიელთა სუპერცენტრმა დევიდ ან-
დერსენმა მძიმე ტრავმა მიიღო და
მოედანს სეზონის ბოლომდე გამოე-
შვიდობა, ცსკა-ს ჩემპიონობას წყა-
ლი შეუდგა. თუმც მესინამ მოახერხა
გუნდის კონსოლიდაცია და ანდერსენს
დირსეული შემცვლელი მოუნახა.



რუსული ცსკა-ს ევროჩემპიონობას ბერძენი თეოდოროს პაპალუკასი და იტალიელი ეტორე მესინა ხარობენ

ებრაელებს შტურმი მოუწყვეს.
13:0 გაქცევით ცსკამ საპირველ-
ტაიმოდ 5-ქულიანი ლიდერობა დაი-
ბევა — 35:30. შესვენებიდან დაბრუ-
ნებულ „მაკაბი“ ბევრს ეცადა, მა-
გრამ ერთ მუშტად შეკრული არმიე-
ლების დაბრუნებამ ვერ მოახერხა.

ლამდე შეამცირეს, მაგრამ მეტი ვე-
ლარ შეძლეს. ლანგდონმა და პაპა-
ლუკასმა საჯარიმოები მოინადირეს
და „მაკაბის“ საქმეც მოთავდა.

